ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №104

4 თებერვალი 2021 წ. ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

14:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - დავით უთმელიძე.

კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, ვახტანგ შაქარიშვილი, ვაჟა ოთარაშვილი, ბორია ფირცხელიანი.
სხდომას ასევე ესწრებოდა:

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა დავით უთმელიძე.

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ (#11-01210332962 2,02,2021წ; საკრ#15-0320343-03)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

გაიოზ თალაკვაძემ კომისიის წევრებს მოახსენა, რომ სამგორის რაიონის გამგეობის წერილობით მოთხოვნაში, გამგეობა აღნიშნავს, რომ გზების მოვლა-შეკეთების და კეთილმოწყობითი ღონისძიებების პროგრამებით გათვალისწინებული რამოდენიმე პროექტი, რომლებიც დაიწყო 2020 წელს და დასრულება გათვალისწინებული იყო 2021 წლის მეორე და მესამე კვარტლებში, დასრულდა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში. შესაბამისად გამგეობა ითხოვს „გზების მოვლა შეკეთების“ პროგრამაში- 232 518 ლარის მეოთხედან პირველ კვარტალში გადმოტანას, ხოლო კ“ეთილმოწყობის ღონისძიებების“ პროგრამაში 1 275 565 ლარის, მესამე და მეოთხე კვარტლებიდან პირველ კვარტალში გადმოტანას.

კომისიის წევრების შეკითხვაზე, გაიოზ თალაკვაძემ ჩამოთვალა ის ძირითადი პროექტები რაც დასრულდა მიმიდინარე წლის პირველ კვარტალში.

რაც შეეხება ნაძლადავის რაიონის მოთხოვნას კვარტალურ ცვლილებებზე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების პროგრამის ფარგლებში, ერთერთი პროექტის შესრულება შპს „რეალ სერვისმა“ წარმოადგინა 2020 წლის 31 დეკემბერს. შესრულებული სანუშაოების დაფინანსება,

ელექტრონული ხაზინის სისტემაში ვერ მოხერხდა 31 დეკემბერს , შესაბამისად გამგეობა ითხოვს 39 833 ლარის გადმოტანას მესამედან მეორე კვარტალში.

გარდა ამისა წარმოდგენილია თბილისის მუნიციპალიტეტის „მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების“ მიმდინარე ვალდებულებების შესასრულებლად , მათთვის მიკუთვნებულ პროგრამაში 5000 ლარის მუხლობრივი ცვლილება.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე- 7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორისა და ნაძალადევის რაიონის გამგეობები და კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური ითხოვენ მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების კვარტალურ ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის me-2 მუხლის მე-7 პუნქტების შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე დავით უთმელიძე.